# ვინ ხარ შენ?












# რისი კეთება გიყვარს?

















მომიყევი შენი ერთი დღე










# საახალწლო მზადება

I



ახლოვდება ახალი წელი. მამამ იყიდა მაღალი, ფუნფულა , მწვანე ნაძვი და დადგა ოთახში.



გიომ და ქეთიმ გადაწყვიტეს ნაძვის ხის მორთვა. გიომ მოიტანა საახალწლო სათამაშოებით სავსე ყუთი.

# საახალწლო მზადება

III

როდესაც გიომ დადგა კიბე ნაძვის ხის გვერდით, ქეთიმ დაამაგრა ოქროსფერი ვარსკვლავი ნაძვის ხის წვერზე.



სანამ ქეთი უყურებდა მორთულ ნაძვის ხეს, გიო გაიქცა სარდაფში და მოიტანა სათამაშო თოვლის პაპა.




LAINERA

# ოქროსფერთმიანი გოგონა და სამი დათვი



იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი ოქროსთმიანი გოგონა და სამი დათვი





ერთ დღეს, ოქროსთმიანმა გოგონამ ტყეში სეირნობისას დაინახა სახლი. მან კარზე დააკაკუნა, არავინ უპასუხა, ამიტომ გადაწყვიტა შესულიყო შიგნით.



მაგიდაზე ეწყო ფაფით სავსე სამი ჯამი. გოგონა კი, მშიერი იყო.



გოგონამ შეჭამა ფაფა ყველაზე დიდი ჯამიდან.
"ფაფა ძალიან მარილიანია!" თქვა მან.



შემდეგ შეჭამა ფაფა, საშუალო ჯამიდან. "ეს ფაფა ძალიან ტკბილია!" თქვა მან



ბოლოს გოგონამ ყველაზე პატარა ჯამიდან შეჭამა ფაფა. “ეს ფაფა კარგია” თქვა გოგონამ და ფაფა სულ შეჭამა.



ოქროსთმიანი გოგონა დაიღალა. შევიდა მისაღებ ოთახში სადაც სამი სკამი დაინახა.



ის დაჯდა ყველაზე დიდ სავარძელში. “ძალიან დიდი სავარძელია“ : თქვა გოგონამ.



შემდეგ საშუალო სავარძელში ჩაჯდა. “ესეც დიდია !" თქვა მან.



ბოლოს ყველაზე პატარა სავარძელში ჩაჯდა. “ეს კი კარგია,” გაიფიქრა მან.



როგორც კი გოგონა პატარა სავარძელში ჩაჯდა, ის ნაწილებად დაიშალა.



ამის შემდეგ, გოგონა ძალიან დაიღალა, მეორე სართულზე საძინებელ ოთახში შევიდა.



ის დაწვა ყველაზე დიდ საწოლში. "ძალიან მაგარია!" თქვა მან.



შემდეგ საშუალო საწოლში დაწვა. „ძალიან რბილია!" თქვა გოგონამ.



ბოლოს ყველაზე პატარა საწოლში ჩაწვა. „ეს საწოლი კარგია" თქვა გოგონამ, გადაბრუნდა და დაიძინა.



სანამ გოგონას ეძინა, სამი დათვი სახლში დაბრუნდა.



„ვიღაცამ ჩემი ფაფა შეჭამა“ თქვა მამა დათვმა.



„ვიღაცამ ჩემი ფაფა შეჭამა“ თქვა დედა დათვმა.



“ვიღაცამ ჩემი ფაფა სულ შეჭამა“ ტირილი დაიწყო პატარა დათვმა.



„ვიღაც ჩემს სავარძელზე იჯდა“ თქვა მამა დათვმა.



“ვიღაც ჩემს სავარძელზეც იჯდა“ თქვა დედა დათვმა.



“ვიღაც ჩემს სავარძელზე დაჯდა და გატეხა“
ტირილი დაიწყო პატარა დათვმა.



შემდეგ ისინი საძინებელ ოთახში ავიდნენ. „ვიღაც ჩემს საწოლში იწვა“ თქვა მამა დათვმა.

